ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **14-01213142712**
თარიღი: **10/11/2021**
პინი: **1910**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო თეიმურაზ,

თქვენი N60-01213083193 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, (ნაკვეთი 01/169)-ში, N01.10.11.001.252 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გეოლოგიურ საფრთხეებთან დაკავშირებით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ფლობს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რაც ასახულია თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (tas.ge) გარემოს ეროვნული სააგენტოს ანგარიშის შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მერიის დაკვეთით, კომპანია შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“-მ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დაექსპერტებული პროექტის მიხედვით განახორციელა ქ.თბილისში, ვაშლიჯვარი ლისის (მაჭავარიანის ქუჩა) დამაკავშირებელი საავტომობილო გზაზე დამეწყრილი უბნის გამაგრება (ს.კ. 01.10.18.006.227), რომელი სამუშაოებიც დასრულებულია და აღნიშნულ ლოკაციაზე პრობლემა აღმოფხვრილია.

პატივისცემით,

გიორგი აბუთიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01210482361**
თარიღი: **17/02/2021**
პინი: **2722**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-01210413207
წერილის თარიღი:	10 თებერვალი, 2021
განმცხადებელი:	ქეთევან ზერეკიძე
განაცხადის N	AR1797577
მისამართი	ქალაქი თბილისი, ვალენტინ თოფურიძის ქ. #31-ის მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.18.006.257
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №5280354 თარიღი: 08 თებერვალი, 2021
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	2330 კვ.მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „ენ სი დი ვაშლიჯვარი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და

სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ ტერიტორიაზე არსებული 5 ძირი მწვანე ნარგავი (2 ძირი ხილ-კენკროვანის გარდა) და გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 18 ძირი ნერგი (6 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 6 ძირი გრძელფოთოლა იფანი, 6 ძირი ჰიმალაის კედარი) სრულად ითვისებს კ3-0.3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო მინიმალურ ფართობს (582.5 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 51-ე პუნქტი).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01210761275**
თარიღი: **17/03/2021**
პინი: **6454**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2021 წლის 9 მარტის თქვენი N 17-01210683599-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქუჩა N31_ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.18.006.257) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას (AR1797577), გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა, ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში და წარმოდგენილი დოკუმენტაცია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

დღეისათვის საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად არის მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ავტობუსების გაჩერება 1-2 წუთის საფეხმავლო მანძილზეა და გააჩნია რეზერვები. ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში, მიმდებარე ქუჩებზე (მ. მაჭავარიანი, ვ.გოძიაშვილი) განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და მესამეული საუბნო შემკრები საზ. ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

საქვეითე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით პრობლემები გვხვდება საკვლევი არეალის უმეტეს ნაწილზე. უშუალოდ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ტროტუარი მოსაწესრიგებელია. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, აღნიშნული მდგომარეობა განხილული და გათვალისწინებული იქნება მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

საავტობუსე ქსელის გაუმჯობესების შემდგომ, მოსალოდნელია მიმდებარე ტერიტორიებზე ძირითადი გამტარი კვანძების დატვირთული მიმართულებების საგრძნობლად განმუხტვა. დაგეგმილი არქიტექტურული პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01210843638**
თარიღი: **25/03/2021**
პინი: **5108**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს
თეიმურაზ ბოლოთაშვილს

თქვენი მ/წლის 16 მარტის განცხადების (მერიაში რეგისტრაციის №17-01210753285-16; (16.03.2021წ.) პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქუჩა N31_ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.18.006.257) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა (AR1797577) და საგზაო მოძრაობის ორგანიზების შეთანხმებულ სქემაზე, საპროექტო ტერიტორიის საჯარო სერვიტუტით დატვირთვას, გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ მოძიებული სამუშაო (DWG) ფაილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი არ საჭიროებს საჯარო სერვიტუტით დატვირთვას.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი